გურთიად
GÜRTİAD

# *HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*
# *კვირის ეკონომიკური გამოცემა*

## *24 Temmuz / ივლისი 2023*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 736.4 | 6671.9 | 10.1% | 17.3 % | 0.6% |

## Özbekistan Başbakanı'nın Çalışma Ziyareti

## უზბეკეთის პრემიერ-მინისტრის სამუშაო ვიზიტი

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili ile Özbekistan Cumhuriyeti Başbakanı Sn. Abdulla Aripov genişletilmiş toplantı gerçekleştirmişlerdir.



Yüzyüze görüşmeden sonra müzakerelere heyetlerin de katılımıyla genişletilmiş toplantı formatında devam edildi. Taraflar Gürcistan ve Özbekistan'ın ikili işbirliğinin temel yönlerini ele almışlardır. Ülkeler arasındaki dostça ve ortaklık ilişkilerine vurgu yapıldı.

Gürcistan Başbakanı Özbek meslektaşına uluslararası tanınmış sınırlar içerisinde Gürcistan'ın egemenliği ve toprak bütünlüğü, ayrıca Gürcistan'ın işgal altındaki topraklara tanımama politikası yürüttüğü için teşekkürlerini sundu.

Toplantıda ülkeler arasında ekonomi işbirliği konuları ele alındı. Gürcistan ve Özbekistan Cumhuriyetinin sağlam ticari ortaklar olduğunu ve bu yönde ülkelerin daha çok potansiyeli olduğunu belirtildi. Özbekistan tarafından Gürcistan'da farklı faklı alanlarda yatırım imkanları da görüşüldü.

Genişletilmiş toplantı sonrası Gürcistan ve Özbekistan Başbakanları ülkeler arasındaki ikili işbirliği geliştirmek için ortak pratik önlemleri içeren 2023-2024 eylem planını imzaladılar.

Bununla birlikte Gürcistan ve Özbekistan Cumhuriyeti Ticaret ve Sanayi Odaları arasında Gürcistan-Özbekistan iş konseyi kurulmasına ilişkin bir sözleşme de imzalandı.



Belgeye Gürcistan Ticaret ve Sanayi Odası Başkanı Sn. Giorgi Pertaia ile Özbekistan Cumhuriyeti Ticaret ve Sanayi Odası Başkanı Sn. Davron Vakhabov imza attılar.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ აბდულა არიპოვს შორის გაფართოებული ფორმატის შეხვედრა გაიმართა.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებები, დელეგაციების მონაწილეობით, გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. მხარეებმა საქართველოსა და უზბეკეთის ორმხრივი

თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები განიხილეს. ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის მჭიდრო მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების არსებობას. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უზბეკ კოლეგას მადლობა გადაუხადა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისთვის.



შეხვედრაზე განიხილეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები. აღინიშნა, რომ საქართველო და უზბეკეთის რესპუბლიკა სტაბილური სავაჭრო პარტნიორები არიან და ამ მიმართულებით ქვეყნებს შორის კიდევ მეტი პოტენციალი არსებობს. ისაუბრეს უზბეკეთის მხრიდან საქართველოში სხვადასხვა სფეროში საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ.
გაფართოებული შეხვედრის შემდეგ საქართველოსა და უზბეკეთის პრემიერ-მინისტრებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების ერთობლივი პრაქტიკული ღონისძიებების 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმას. ხელი მოეწერა ასევე ხელშეკრულებას საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და უზბეკეთის რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის საქართველო-უზბეკეთის ბიზნეს საბჭოს დაარსებასთან დაკავშირებით.
საქართველოს მხრიდან დოკუმენტს ხელი მოაწერა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა გიორგი პერტაიამ, უზბეკეთის რესპუბლიკის მხრიდან კი უზბეკეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე დავრონ ვახაბოვმა.

Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili Başbakan Sn. Abdulla Aripov'un liderliğindeki, Gürcistan ziyaretinde bulunan Özbekistan heyetine Gürcistan'ın limanları, deniz altyapısı ve bu sektördeki güncel ve planlanan projeler hakkında bilgi verdi.

Heyet Batum ve Poti şehirlerinde Sn. Levan Davitashvili'nin yanı sıra Ajara Hükümet Başkanı Sn. Tornike Rizhvadze, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Sn. Guram Guramishvili ile Deniz Taşımacılığı Ajansı Müdürü Sn. Aleks Akhvlediani tarafından ağırlandı.



Gürcistan tarafı Özbek konuklarla birlikte sahil güvenlik gemisiyle Poti limanı ve su alanı gözden geçirmiş olup Batum limanının altyapısı ve çalışma sürecine tanıdık oldu, onlara ayrıca Anaklia derin deniz limanı projesi de tanıtıldı. Özbekistan heyeti Poti ziyareti sırasında serbest ekonomik bölgeleri ve tekstil fabrikası da görmüş oldu.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING



Başbakan Sn. Abdulla Aripov'un liderliğindeki Özbekistan heyeti Gürcistan'a iki günlük resmi ziyatinde bulundu.

Gürcistan Hükümeti'nin liderleriyle birlikte gerçekleştirilmiş yüzyüze veya genişletilmiş formatındaki toplantılarda taraflar ticari ve ekonomik ilişkileri de dahil olmak üzere iki ülke arasındaki ortaklık ilişkilerini ele almışlardır.

Gürcistan ve Özbekistan'ın yıllardır sabit bir şekilde ortaklık ettiğini vurgulanıp bu bağlamda gerçekleşmesi her iki ülke için faydalı ve önemli olan ilişkilerin büyümesi/gelişmesi yönünde daha da büyük ve çok çeşitli perspektifler vardır.

Bununla birlikte Özbekistan tarafı "Orta Ulaşım Koridoru" ve bu rotanın geliştirilmesine ilgilerini dile getirdiler.

ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა საქართველოში ვიზიტად მყოფ უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაციას, პრემიერ-მინისტრ აბდულა არიპოვის ხელმძღვანელობით, საქართველოს პორტები, საზღვაო ინფრასტრუქტურა და ამ სექტორში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო.

დელეგაციას ბათუმსა და ფოთში ლევან დავითაშვილთან ერთად აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა თორნიკე რიჟვაძემ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გურამ გურამიშვილმა და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა ალექსი ახვლედიანმა უმასპინძლეს.

მათ უზბეკ სტუმრებთან ერთად დაათვალიერეს ფოთის საზღვაო პორტი და აკვატორია სანაპირო დაცვის გემით, ასევე გაეცნენ ბათუმის პორტის ინფრასტრუქტურას და მუშაობას და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტს. უზბეკეთის დელეგაციის წევრებმა ფოთში ვიზიტისას თავისუფალი ეკონომიკური ზონა და ტექსტილის საწარმოც დაათვალიერეს.

უზბეკეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრ აბდულა არიპოვის ხელმძღვანელობით საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

საქართველოს მთავრობის პირველ პირებთან გამართულ პირისპირ თუ გაფართოებული ფორმატის შეხვედრებზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობები, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები განიხილეს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო და უზბეკეთი წლებია, სტაბილურად პარტნიორობენ, თუმცა, ამ მხრივ ურთიერთობების ზრდა/განვითარების კიდევ უფრო დიდი, მრავალმხრივი პერსპექტივები არსებობს, რომელთა რეალიზებაც ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო და მნიშვნელოვანია.

ამასთან, უზბეკეთის მთავრობის წევრებმა დაინტერესება გამოხატეს „შუა სატრანსპორტო დერეფნის" და ამ მარშრუტის განვითარების საკითხთან დაკავშირებით.

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC Waikiki
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

## Haziran Ayında Gürcistan'ın Yollarından Geçen TIR'ların Sayısı ve Ülkenin Elde Ettiği Gelir

## რამდენმა ტრაილერმა ისარგებლა ივნისში საქართველოს გზებით და რა შემოსავალი მიიღო ქვეყანამ

2023'ün ilk 6 ayında Gürcistan transit TIR'ları geçirerek 86 713 584 GEL gelir elde etti.

Haziran ayında Gürcistan'ın yollarından 47 000'den daha fazla TIR geçti. Devlet Hazinesinin verilerine göre, geçen ay yol kullanım ücreti olarak bütçeye 16 455 960 GEL girdi.

6 ay boyunca ise Gürcistan'ın yollarından toplam 247,753 TIR yararlandı.

2023'ün Ocak-Haziran İstatistiği:

- Ocak- 12 041 350 GEL/ 34 404 Transit TIR
- Şubat- 11 970 002 GEL/ 34 200 Transit TIR
- Mart- 15 549 710 GEL/ 44 428 Transit TIR
- Nisan- 13 834 954 GEL/ 39 528 Transit TIR
- Mayıs- 16 861 665 GEL/ 48,176 Transit TIR
- Haziran-16 455 903 GEL/ 47,017 Transit TIR




2023 წლის პირველ 6 თვეში საქართველომ სატრანზიტო ტრაილერების გატარებით 86 713 584 ლარის შემოსავალი მიიღო.

ივნისში საქართველოს გზებით 47 000-ზე მეტმა ტრაილერმა ისარგებლა. სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, გასულ თვეში ბიუჯეტში გზათსარგებლობის საფასურის სახით 16 455 960 ლარი შევიდა.

6 თვის განმავლობაში კი, სულ საქართველოს გზებით 247,753 ტრაილერმა ისარგებლა.

**2023 წლის იანვარ-ივნისის სტატისტიკა:**

- იანვარი- 12 041 350 ლარი / 34 404 სატრანზიტო ტრაილერით
- თებერვალი - 11 970 002 ლარი / 34 200 სატრანზიტო ტრაილერი
- მარტი - 15 549 710 ლარი / 44 428 სატრანზიტო ტრაილერი
- აპრილი -13 834 954 ლარი / 39 528 სატრანზიტო ტრაილერი
- მაისი - 16 861 665 ლარი / 48,176 სატვრითო ტრაილერი
- ივნისი - 16 455 903 ლარი / 47,017 სატვრითო ტრაილერი

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

**2023'ün İlk Yarısında Gürcistan'ın Arabaları Almış Olduğu Ülkeler:**

**ქვეყნები, საიდანაც საქართველომ 2023 წლის პირველ ნახევარში შეიძინა ავტომობილები:**



1) ABD- 719 MLN Dolar, 59.545 Araba, Ortalama Fiyat $12 000;

2) Japonya- 221 MLN Dolar, 8.183 Araba, Ortalama Fiyat $27 000;

3) Almanya- 140 MLN Dolar, 6.396 Araba, Ortalama Fiyat $22 000;

4) Türkiye- 57 MLN Dolar, 1.603 Araba, Ortalama Fiyat $35 000;

5) Ukrayna- 28 MLN Dolar, 385 Araba, Ortalama Fiyat $73 000;

6) Kore- 18 MLN Dolar, 1.145 Araba, Ortalama Fiyat $16 000;

7) Belçika- 14 MLN Dolar, 958 Araba, Ortalama Fiyat $14 000;

8) Birleşik Krallık- 11 MLN Dolar, 152 Araba, Ortalama Fiyat $75 000;

9) Kanada- 11 MLN Dolar, 606 Araba, Ortalama Fiyat $19 000;

10) Azerbaycan- 10 MLN Dolar, 104 Araba, Ortalama Fiyat $100 000.

1) აშშ - 719 მილიონი დოლარი, 59.545 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $12 000;
2) იაპონია - 221 მილიონი დოლარი, 8.183 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $27 000;
3) გერმანია - 140 მილიონი დოლარი, 6.396 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $22 000;

4) თურქეთი - 57 მილიონი დოლარი, 1.603 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $35 000;

5) უკრაინა - 28 მილიონი დოლარი, 385 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $73 000;
6) კორეა - 18 მილიონი დოლარი, 1.145 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $16 000;

7) ბელგია - 14 მილიონი დოლარი, 958 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $14 000;

8) გაერთიანებული სამეფო - 11 მილიონი დოლარი, 152 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $75 000;

9) კანადა - 11 მილიონი დოლარი, 606 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $19 000;

10) აზერბაიჯანი - 10 მილიონი დოლარი, 104 ცალი ავტომობილი, ერთის საშუალო ფასი $100 000.




## II Çeyrekte Gürcistan’da Yaklaşık 1 MLN Turistik Ziyaret Gerçekleştirildi

## II კვარტალში საქართველოში დაახლოებით 1 მლნ ტურისტული ვიზიტი შედგა

## 6 Ayda İhracat %19.3, İthalat %20.4 Arttı

## ექვს თვეში ექსპორტი 19.3%-ით, იმპორტი 20.4%-ით გაიზარდა






## 6 Ayda Gürcistan 3.1 Milyar Dolar Değerinde Yerli Ürün İhracatı Gerçekleştirdi

## ექვს თვეში საქართველომ 3.1 მლრდ დოლარის ადგილობრივი პროდუქტის ექსპორტი განახორციელა

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.5771 TRY/GEL – 0.0957 EUR/GEL – 2.8673 GBP/GEL – 3.3118

USD/GEL

17 - 24 Temmuz 2023



USD/TR

17 - 24 Temmuz 2023



TRY/GEL

17 - 24 Temmuz 2023



BTC – 27 589. 2

17 - 24 Temmuz2 023

